

ეკონომიკური დისკურსის ენობრივი თავისებურებები
(ინგლისურ, ქართულ და რუსულ მასალაზე დაყრდნობით)

თამარ ბოკელავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათადა ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო
ურთიერთობები/ეკონომიკა
(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ჯაფარიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2017

„როგორც წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ ბოკელავაძე 2017 წლის 24 ივნისი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „ეკონომიკური ლექსიკის ენობრივი თავისებურებები“ განხილულია ის საკითხები, რომლებიც ეკონომიკური სამეცნიერო და პოპულარული სტილის ლექსიკას, მის მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სტილისტურ დახასიათებასა და მათი ინგლისურიდან თაგმნის თავისებურებებს უკავშირდება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული ლექსიკის (ტერმინები, აბრევიატურები) ენობრივი თავისებურებებისა და მათი თარგმნის პრობლემები აწუხებთ არამარტო ეკონომიკური მეცნიერებების სტუდენტებს, არამედ პროფესორ-მასწავლებლებსაც. მათი განცხადებით, ინგლისურიდან თარგმნილ ეკონომიკურ მასალაში ხშირად აწყდებიან გარკვეულ შეუსაბამოებებს, რასაც სტუდენტების გაღიზიანებაც მოსდევს.

საკვლევ თემად ავირჩიეთ ინგლისური, რუსული და ქართული ეკონომიკური ლექსიკის შეპირისპირების ანალიზი, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური სამეცნიერო-პოპულარული სტატიების სათაურების, ტერმინებისა და აბრევიატურების თავისებურებების დადგენა და სირთულეების დაძლევა.

დასახული მიზნისთვის, ნაშრომში გამოვიყენეთ კვლევის კომპლექსური მეთოდი, რომელიც მოიცავს ინტერდისციპლინარული კვლევის, ლინგვიტური მასალის ანალიტიკური დაკვირვების, სისტემური შეპირისპირების, სტრუქტურულ-სემანტიკური და ლექსომეტრიული მეთოდების გამოყენებას, ასევე ჩავატარეთ სოციალური გამოკითხვა, რაც გულისხმობს როგორც კვლევის რაოდენობრივ, ისე თვისობრივი მეთოდების გამოყენებას. რის საფუძველზეც დადგინდა საკვლევი თემის აქტუალობა, საკვლევ მასალაში არსებული ენობრივი თავისებურებები და სირთულეები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეკონომიკური ლექსიკა, ტერმინი, აბრევიატურა, თარგმანი, სათაური, მხატვრული ენის სტილისტიკა, მეტაფორა.

Abstract

Master's thesis “ The lexical features of economic language” discusses the problem related to the economic language morphological, syntactic and stylistic peculiarities in both academic and general language styles. It also covers the specific characteristics of economics terms and their translation problems.

The results of the study have revealed that not only the students of economic sciences, but also the lecturers have to deal with some economic language-related problems during the academic sessions. They claim that they often encounter some inappropriate translations in the economic texts. So the immediate object of our research is studied within the framework of English, Georgian and Russian economic language comparative method analysis, which gives us the opportunity to discover and observe linguistic characteristics of economic language and analyze those translation tendencies that are used for conveying English economic terms into Georgian and Russian.

In particular the focus is made on the economic terms and abbreviation morphological and syntactic study and the novelty of the research is the linguistic analysis of metaphor expressions in economic language, mainly in terms.

To achieve the study goal we have applied for a complex method of research that includes interdisciplinary, analytical observation, systemic comparison, structural-semantic and lexicometric analysis and we have also conducted a social survey, which implies both quantitative and qualitative methods of research.

Key words: Economic language, term, abbreviation, translation, headline, stylistics, metaphor.